

„წერილი ევროპელ თანატოლს - დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე“

ავტორი: ნინო კუხალეიშვილი

Author: Nino Kuxaleishvili

ასაკი: 16 წელი

Age: 16 years

სკოლა: სსიპ. ქ.ფოთის მე-15 საჯარო სკოლა

School: LEPL Poti Public School N15

კლასი: 11 კლასი

Grade: 11

წერილი ევროპელ თანატოლს - დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

„მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ.“ - ეს სიტყვები ეკუთვნის ქართველ, საზოგადო მოღვაწეს, ილია ჭავჭავაძეს, რომელიც მთელი არსებით იბრძოდა საქართველოს ეროვნული ღირსებისა და თავისუფლების დაცვისათვის. გამარჯობა მეგობარო! მე ნინო ვარ

და გწერ რათა გიამბო ჩემი სამშობლოს, საქართველოს დამოუკიდებლობის ჭეშმარიტების შესახებ. საქართველო კავკასიის გულში, მთებსა და ზღვის შორის არსებული, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, რომელიც შექმნის დღიდან მოყოლებული, განუწყვეტლივ ომებში იყო ჩართული. მუდამ ზეგავლენისა და მტრისაგან თავდასხმის ქვეშ იტანჯებოდა და ბევრი სისხლი იღვრებოდა იმისთვის, რომ საქართველო არ დანებებოდა უცხო ძალებს, მოეპოვებინა სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ახლა, როდესაც შენ გწერ, სიამაყით ვიხსენებ თითოეულ ღვთის შვილს, რომელმაც თავი გასწირა რათა საქართველო არსებობიდან არ გამქრალიყო. ვერ ვიტყვი, რომ დღესდღეობით ჩემი მამული ჭეშმარიტად დამოუკიდებელია. დიახ, ქვეყანას აქვს ფორმალური დამოუკიდებლობა, თუმცა დამოუკიდებლობა, ეს არ არის უბრალოდ ფურცელზე დაწერილი სიტყვები და მასზე დასმული სიმბოლო, არამედ ეს არის გულსა და გონებაში არსებული სიმშვიდე და შეუზღუდავი აზროვნების უნარი, ყველანაირი ზეწოლის გარეშე. საქართველოში გახშირებულია ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ხალხის ინტერესებზე კი არ არის დაფუძნებული, არამედ პოლიტიკურ და გარე ძალებზე. ჩემთვის ეს მტკივნეული და მიუღებელია. ასეთი წარსულის მქონე ქვეყანას, უნდა ჰქონდეს სრული დამოუკიდებლობა და არ უნდა იყოს კორუპტირებული პოლიტიკური ან გარე ძალების ზეწოლის მიერ. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ თითოეული ვაჟკაცის მიერ დაღვრილი სისხლის წვეთი არ იყოს ამაო და ფუჭი. როგორც ილია ჭავჭავაძემ თქვა: „წარსული მკვიდრი სამირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა.“

მოდით ახლა ჩვენც გავემგზავროთ წარსულში. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მთელი საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. 1917 წელს მომხდარმა რევოლუციებმა ქვეყანაში ძველი იმპერიული წესრიგი დაანგრია. იმპერიის დაშლამ გზა გაუხსნა საქართველოს ოცნებას, პირველად ისტორიის განმავლობაში, დამოუკიდებელი სახელმწიფო შეექმნა. 1918 წლის 26 მაისს თბილისში, ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს ყველაფერი ხალხის ხანგძლივი და მტკივნეული ბრძოლის შედეგი იყო, თუმცა ამ დამოუკიდებლობამ მხოლოდ სამი წელი გასტანა. 1921 წლის თებერვალში საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა წითელი არმია და მათ ქვეყანა ძალით გახადეს საბჭოთა რესპუბლიკა. ეს საბჭოთა კავშირი ტოტალიტარიზმის სიმბოლოდ იქცა. თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად საქართველო და მისი ერი ბოლომდე არ დათრგუნულა. 1989 წლის 9 აპრილს, რუსთაველის გამზირზე ათასობით ხალხი შეიკრიბა მშვიდობიანი მოწოდებით:

საქართველოს დამოუკიდებლობა სურდათ. მაგრამ სამწუხაროდ საბჭოთა არმიამ ძალადობით უპასუხა. ბევრი დაიღუპა. ორი წლის შემდეგ, იმავე დღეს, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ ოფიციალურად გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ქვეყანამ, რომელმაც წლები გაატარა უცხო ძალების ზეწოლის ქვეშ, კვლავ გაიღვიძა. საქართველო „ფენიქსს“ მაგონებს. რამდენჯერაც დაეცა, იმდენჯერ წამოდგა საკუთარი ფერფლისაგან. ამ გაღვიძებამ ასევე ცვლილება მოუტანა ადამიანის აზროვნებას. მაგალითად, საბჭოთა პერიოდში ხალხს თავისუფლად აზროვნების უნარი, კრიტიკა და განცდების გამოხატვა ეკრძალებოდათ და მუდამ შიშში ცხოვრობდნენ. ახალ თაობას კი, ანუ ჩვენ, თავისუფლად შეგვიძლია საკუთარი აზრის გამოხატვა, სახელმწიფოსა და წარსულის კრიტიკა, ისე, რომ არ დავისაჯოთ. დღესდღეობით თბილისში მრავალი მიტინგი იმართება, სადაც ახალგაზრდები აკრიტიკებენ მთავრობასა და პარლამენტს. მსგავსი საქციელი საბჭოთა პერიოდში დაჭერით ან ფსიქიატრიულში გამოკეტვით დასრულდებოდა. რეჟიმის შეცვლის მიუხედავად, მაინც ბევრი ადამიანია ვინც ისჯება მსგავსი კრიტიკის შედეგად. საქართველო სრულიად და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი რომ იყოს, მასიური მიტინგების აუცილებლობა არც იქნებოდა, თუმცა ის ხალხი ვისაც ახსოვს წარსული და პარალელს ავლებს აწმყოსა და წარსულს შორის, გამოდიან და იბრძვიან ევროპისაკენ მიმავალი გზის მოსაპოვებლად, რათა ერთხელ და სამუდამოდ განმტკიცდეს საქართველოს დამოუკიდებლობა და გაქრეს ყველანაირი ზეწოლა რაც კიდევ სუფევს ჩვენს შორის.

ამრიგად, დამოუკიდებლობა ძალიან ღირებულია, მეგობარო. ხომ იცი როგორც ამბობენ: „წარსულზე ფიქრი, მომავალს დაგვაკარგინებს“, თუმცა ჩემი აზრით, წარსული პირიქით - ის არის, რაც მომავალს გადაარჩენს. წარსულის გახსენებით, გავიხსენებთ თითოეულ ბრძოლას, ომს, სისხლის ღვრას, რამაც დღევანდელი მდგომარეობა მოგვიყვანა და ის მოგვცემს მოტივაციას, რომ გავაგრძელოთ წინაპართა სულის კვეთება და აღვდგეთ, როგორც ჭეშმარიტი, დამოუკიდებელი ქვეყანა. დაე, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

Letter to my European friend – from independence, to freedom

“All of humanity’s past would be in vain if we do not take anything useful from it for our own lives.”

– These words belong to a Georgian public figure, Ilia Chavchavadze, who dedicated his entire life to the fight for Georgia’s national values, freedom and security. Hello friend! I’m Nino and I am writing to you so I can share with you the true meaning of my homeland Georgia’s independence. Georgia – a

land blessed by The Virgin Mary, lies at the heart of the Caucasus, between the mountains and the sea. It is also a land which, since its very beginning, has been involved in wars. Georgia suffered continuously from the pressure and the attacks from the enemies and lots of blood was shed so that the country would not surrender to the enemy forces and would instead gain true independence and freedom. Now, as I am writing to you, I am remembering every single one of God's children who proudly sacrificed themselves so that Georgia would not disappear from existence. I cannot say that my homeland is entirely independent nowadays. Yes, it is true that Georgia has a formal independence, however independence is not just words on paper with a political symbol on it, but it rather is a peace of mind and heart and the ability to think freely without pressure from anyone else. In Georgia, decisions are increasingly being made not in the interests of the people, but rather influenced by political agendas and external forces. For me, this is painful and unacceptable. A country, which has such an extraordinary and painful past, filled with heroes, should be fully independent and should not be chained or held back by political agendas and pressure. This is a necessity, so that not a single drop of blood from the Georgian heroes would be in vain. Just like how Ilia Chavchavadze said it: "The past is a solid foundation for the present, just as the present is for the future."

Let's now travel back to the past. In the 19th century, all of Georgia became part of the Russian Empire. The revolutions of 1917 brought an end to the old imperial order in the country. The collapse of the empire paved the way for Georgia's dream to create an independent state for the first time in its history. On May 26, 1918, in Tbilisi, the national council declared Georgia's independence. This was the result of a long and painful struggle by the people. However, this independence lasted only three years. In February 1921, the Red Army invaded Georgia and forcibly turned the country into a Soviet Republic. The Soviet Union became a symbol of totalitarianism. Despite all this, Georgia and its people never fully gave in. On April 9, 1989, thousands of people gathered peacefully on Rustaveli Avenue, demanding Georgia's independence. Sadly the Soviet army responded with violence. Many lives were lost. Two years later, on the same day, April 9, 1991, the Supreme Council of Georgia officially declared the restoration of Georgia's state independence. A Country that spent years under the chains of enemy forces, finally woke up. Georgia reminds me of "The Phoenix." It rose from its ashes as many times as it fell. This awakening also changed the opinions of the Georgian residents. For instance, during the Soviet period thinking freely, criticizing things and expressing emotions were strictly forbidden and

people lived in the constant state of fear. But we, the new generation, have the ability to express personal thoughts, we can criticize the government and past without getting punished. Nowadays many protests are held in Tbilisi, where people criticize the government and Parliament. During Soviet period, such actions would have resulted in arrest or confinement in a psychiatric hospital. Despite the change in regime, many people are still punished for similar criticism. If Georgia were fully and truly independent, there would be no need for massive rallies. However, those who remember the past and draw parallels between the present and the past are now stepping forward to fight for the path toward Europe, so that Georgia's independence can finally be secured once and for all and so that all forms of pressure that still linger among us may disappear.

Thus, independence is truly precious, my friend. You know how they say, "Dwelling on the past can cost us the future," but in my view, it's quite the opposite. The past is what can save our future. By remembering the past, we recall every battle, every war, every drop of blood that brought us to where we are today, that memory is what gives us the motivation to carry forward the spirit of our ancestors and rise again, as a true, independent nation. Long live the independent Georgia!